კონცეფცია

ფშავის მდგრადი განვითარებისათვის

კონცეფციის მიზანს წარმოადგენს პრიორიტეტების განსაზღვრა ფშავის რესურსული პოტენციალის და გაეროს მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგი 21 გათვალისწინებით.

ზოგადი

გეოგრაფია

ფშავი არაგვის ხეობაში მდებარეობს და დღევანდელ დუშეთის მუნიციპალიტეტში. მისი ფართობი დაახლოებით 550 კმ²-ია. ფშავს ესაზღვრება: ჩრდილო-აღმოსავლეთით - კავკასიონის მთავარი ქედი, რომელიც მას ჰყოფს თუშეთისა და პირაქეთა ხევსურეთისაგან, დასავლეთით - პირაქეთა ხევსურეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი, სამხრეთით -შიდა ქართლი, აღმოსავლეთით - ერწო-თიანეთი. ფშავი ორად იყოფა: ფშავის არაგვის სათავიდან ორწყლამდე უკანა ფშავის თემია, ხოლო ორწყალს ქვემოთ, ფშავის არაგვის ქვემო წელში, მაღაროსკარის თემი. გეოგრაფიულად ფშავი მდებარეობს ქართლ-კახეთის საზღვარზე და წარმოადგენს ამ ორი კუთხის მთიანეთს, მაგრამ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად ფშავი წინათ კახეთის პროვინციაში შედიოდა, ხოლო თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ფშავის მთელი ტერიტორია შედის მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის რაიონში. სამხრეთი საზღვარი იწყება შარახევიდან და ორწყალ ფშავის ხევით (შუაფხო-უკანაფშავი) მიემართება აღმოსავლეთით და ეკვრის კავკასიონის მთავარ ქედს. ფშავის ზედაპირი სამხრეთით დაგეზებულია. იგი თუშეთ-ხევსურეთისაგან შედარებით უფრო დაბალია. მისი ჰიპსომეტრული სიმაღლე 1000-3000 მ-ია, თუმცა მისი ბუნება უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ხევსურეთისა და თუშეთის.

ფშავი მდიდარია მცენარეულობით და მთელი მისი მიდამო შუაფხომდე შემოსილია ხშირ ფოთლოვანი ტყით. ორწყალ-ზემო ფშავის არაგვის სათავისა და კავკასიონის ქედის მიმართებით ტყე თანდათანობით მცირდება, ის ბუჩქნარზე გადადის და მწვერვალებზე ალპიურ მდელოს ხალით იცვლება, სადაც ფართო სათიბები და საძოვრებია. ასეთი იალაღებით მდიდარია უკანაფშავის თემი, რომელიც უმთავრესად მესაქონლეობას მისდევს. ფშავის მიდამოში ბუდობს მრავალი ფრინველი და ცხოველი.

მოსახლეობა

ფშავის 30 სოფელში აღრიცხულია 292 კომლი და 722 მოსახლე, ბევრი სოფელი დაცლილია.

წინასიტყვაობა

საქართველო მთლიანობაში და მისი თითოეული რეგიონი თუ დასახლებული პუნქტი, მათ შორის ფშავი, არა თუ ვერ მოსწყდება მსოფლიოს მდგრადი განვითარების პროცესებს, საჭიროა სასწრაფოდ ფეხის აწყობა და ორიენტაციის აღება ე.წ. მწვანე განვითარებისაკენ.

ფშავის განვითარების თემის გააქტიურება განაპირობა სამხარეო ადმინისტრაციის მიერ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მდგრადი/მწვანე განვითარების კურსის არჩევამ.

გაჩნდა ჯანსაღი ამბიცია, რომ უახლოეს წლებში ფშავი გახდეს ერთ-ერთი მოწინავე და საჩვენებელი მხარე. იმ პარამეტრებს შორის, რის გამოც უპირატოსობა მიენიჭა ფშავს და საპილოტედ შეირჩა, უმნიშვნელოვანესია ვაჟა-ფშაველას ფენომენი.
ჩვენ გაგვაჩნია ფასდაუდებელი, უზარმაზარი აუთვისებელი კაპიტალი ვაჟას შემოქმედების სახით. მოწინავე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოსა და ადამიანის ჰარმონიული თანაარსებობის მიღწევა. სწორედ ამის, აგრეთვე სამყაროში ყველაფრის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საუკუნეზე მეტი ხნის წინ წერდა ვაჟა-ფშაველა.
დღეს დადგა ხელსაყრელი მომენტი და ჩვენი ვალია მოვახდინოთ ვაჟას შემოქმედების კომერციალიზაცია, მსოფლიოსთვის მისაღები ფორმით უნდა შევფუთოთ იგი და მივაწოდოთ მას. მატერიალური პროდუქტებისგან განსხვავებით ამ კაპიტალს გაცემით არაფერი აკლდება, პირიქით, რასაც მეტს გავცემთ, უფრო მეტი დაგვიბრუნდება უკან.
სწორედ ვაჟას წყალობით შესაძლებელია, რომ ფშავი გახდეს საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოთემი.

ფშავის მდგრადი განვითარების კონცეფცია განსაზღვრავს ამ მიკრორეგიონის პრიორიტეტებს 2030 წლამდე.

ფშავის თემის მომავლის ზოგადი სახე

ფშავის თემი იცხოვრებს მორალური კოდექსით, რომელიც განაპირობებს მცხოვრებთა ურთიერთშორის კეთილგანწყობას, საზიაროს ხდის ჭირსაც და ლხინსაც;

თემის მოსახლეობამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მთლიანად თემზე თუ სოფელზე. კარგი ცხოვრების მომლოდინედან იქცეს მის შემოქმედად.

თემის თითოეულმა მცხოვრებმა გავლენა უნდა იქონიოს თემის განვითარებაზე და თავისი ცოდნა, გამოცდილება და ფიზიკური შესაძლებლობები არ დაიშუროს ამისათვის;

თემის მცხოვრებნი თავს უნდა თვლიდნენ ბუნების ნაწილად და გარემოს მიმართ ზრუნვით განიმსჭვალონ, მათი ცხოვრება და საქმიანობა გარემოსთან ჰარმონიაში უნდა მოდიოდეს;

თემში უნდა დამკვიდრდეს ცხოვრების წესი, რომელიც იქნება ადამიანების ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის საფუძველი;

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა, დადებითი ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება ჩაითვლება თემის ღირსების საქმედ;

თემში უნდა განვითარდეს ის სამეურნეო მიმართულებები, მეთოდები და ტექნოლოგიები, ინოვაციური მიდგომები, რაც უზრუნველყოფს თემის არსებობასა და განვითარებას განუსაზღვრელი დროის განმავლობაში;

სოციალური ინფრასტრუქტურით, ცხოვრების დონით, გარე სამყაროსთან ინტეგრირების ხარისხით ფშავის თემი უნდა დაეწიოს ქალაქს;

ფშავის თემში ცხოვრება და საქმიანობა უნდა ითვლებოდეს ღირსების საქმედ და პრესტიჟულად.

განათლება მდგრადი განვითარების მიზნებისათვის

განათლება მდგრადი განვითარებისათვის არის სწავლა-სწავლებისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც ემსახურება ადამიანების ჩართვას მდგრადი განვითარების საკითხების განხილვა-გადაჭრაში, ადამიანების შესაძლებლობების გაზრდას მდგრადი განვითარების კონცეფციის გააზრებისა და ამ კონცეფციის რეალურ ცხოვრებაში ანხორციელებისათვის.

განათლება მდგრადი განვითარებისათვის არის განათლების პასუხი გლობალურ ცვლილებებზე. მისი მიზანია, დაეხმაროს მოქალაქეებს მდგრადი განვითარების იდეის მნიშვნელოვნების გააზრებაში (გლობალურად და ლოკალურად), მომავალზე ორიენტირებული, სისტემური და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში და იმ ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში, რომლებიც წვლილს შეიტანს მათი თემის მდგრად განვითარებაში.

სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე, ასაკის გარეშე, წარმოადგენს ზრდისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის უმთავრეს ასპექტს და რაც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, სრულყოფილი მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
არაფორმალური განათლების ყველა ფორმით ხელი შეეწყობა ფშავის მოსახლეობის ცოდნის გაღრმავებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სივრცითი დაგეგმარება

ამ კონცეფციის საფუძველზე უნდა გაკეთდეს სივრცითი განვითარება-განაშენიანების გეგმები როგორც მთლიანად ფშავისათვის, ისე თითოეული სოფლისათვის, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაზე იქნება გათვლილი. ფშაური ტრადიციის გათვალისწინებით უნდა შევქმნათ თანამედროვე ფშავის, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იერ-სახე.
პეიზაჟების ფორმირება მოხდება მეცნიერულად დასაბუთებული მოდელებით ინდივიდუაური მახასიათებლებით.

გარემოს დაცვა

ფშავის გარემოს დაცვაში ორიენტირად აღებულია "მდგრადობის პრინციპი" - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება ისე, როდესაც საშიშროება არ შეექმნება საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფილი იქნება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან;
ფშავში გარანტირებული იქნება გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ქონა საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.
გარემოს ხარისხის შენარჩუნება, დაცვა, გაუმჯობესება და რეაბილიტაცია მოხდება გარემოსდაცვითი მმართველობის, მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, განათლების, მონიტორინგის და გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემების, ზედამხედველობისა და აღსრულების, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, გარემოსთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლის, გარემოს შესახებ ინფორმაციის საჯაროობიის, გადაწყვეტილების მიღების პროცესების და ადმინისტრაციული და სამართლებრივი განხილვის ეფექტიანი პროცედურების მექანიზმებისა და საშუალებების ამოქმედებით;

გარემოს დაცვის სფეროში ეტაპობრივად, დაჩქარებულად დაინერგება ევროპული სტანდარტები, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას.
შემუშავდება გარემოს დაცვის მოქმედებათა ლოკალური გეგმა, რომელიც მოიცავს ყველა სექტორულ გარემოსდაცვით სტრატეგიულ მიმართულებებს, ასევე ინსტიტუციურ და ადმინისტრაციულ საკითხებს;
შენარჩუნდება და დაცულ იქნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემო, თვითმყოფადი ლანდშაფტები. ფშავი მთლიანად მიიღებს დაცული ტერიტორიის სტატუსს...

კლიმატის ცვლილება

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) და მასთან დაკავშირებული შეთანხმებებისა და გადაწყვეტილებების ფარგლებში ფშავში განვითარდება და გაძლიერდება თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების დასაძლევად, რომელიც მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების შერბილებას და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, უსაფრთხო და მდგრადი დაბალნახშირბადიანი შემცველობისა და საადაპტაციო ტექნოლოგიების დანერგვას ლოკალურ დონეზე.
მდგრადი ეკოსისტემების შენარჩუნება გახდება მნიშვნელოვანი „ინსტრუმენტი“ კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების შერბილებისთვის.

ბუნებრივი კატასტროფების მართვა

მოხდება ფშავში კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის შემცირება. საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა კატასტროფების პრევენციის და მათზე რეაგირების სფეროში, მათი საზიანო გავლენის შემცირებაში.
მოხდება კატასტროფებისათვის მზადებისა და რეაგირების ეფექტურ მექანიზმების შექმნა, საზოგადოების გათვითცნობიერება და ჩართვა ამ საკითხებში.

ბიოლოგიური მრავალფეროვნება

ბიოლოგიური მრავალფეროვნება ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი სიმდიდრეა. განვითარება შეუძლებელია ამ სიმდიდრის რაციონალური გამოყენებისა და შენარჩუნების გარეშე. ესაა მდგრადი განვითარების მიღწევის ერთ-ერთ ძირითადი ელემენტი.

ფშავში უზრუნველვყოფილი იქნება ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება ბიომრავალფეროვნების კონვენციისა და სხვა საერთაშორისო თუ ეროვნული ინსტრუმენტების შესაბამისად,

ხელი შეეწყობა წარმოებას და ვაჭრობას ბუნებრივი რესურსიდან მიღებული იმ პროდუქტებით, რომელიც მიღებულია ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენებით და ამავე დროს წვლილი შეაქვს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პროცესში;

ბიომრავალფეროვნების დანაკარგებისა და მასზე ზეწოლის შემცირების მიზნით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველვყოფილი იქნება თანამშრომლობა ნებისმიერ ეროვნულ და საერთაშორისო სტრუქტურასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ლოკალურ დონეზე გატარდება ღონისძიებები გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა გადასარჩენად.

განვითარდება თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობისა და მისი მდგრადი გამოყენების მიზნით ბუნებრივ და აგროკულტურულ ეკოსისტემებში, რაც მოიცავს გადაშენების პირას მყოფ სახეობებს, განსაკუთრებული დაცვის ბუნებრივ ტერიტორიებს და გენეტიკურ

მრავალფეროვნებას, ეკოსისტემების აღდგენას, ასევე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრას ან შემცირებას, რაც გამოწვეულია ეკოსისტემის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი რესურსების გამოყენებით.

ექსტენსიური სოფლის მეურნეობით შენარჩუნდება ცხოველთა და მცენარეთა უამრავი სახეობისათვის მნიშვნელოვანი საარსებო გარემო.

შეიქმნება დაცული ტერიტორია მთელი ფშავის მსშტაბით. ამ ღონისძიებებს ბუნების დაცვის გარდა სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვაც გააჩნია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, მიგრაციული პროცესების შეჩერების, ტურიზმის განვითარების, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, ინფრასტრუქტურის განვითარების, ადგილობრივი პროდუქციის გასაღების შესაძლებლობების გაზრდით და სხვა თვალსაზრისით.

2030 წლისთვის ფშავში მოქალაქეები იცხოვრობენ ბუნებასთან ჰარმონიაში, აღიარებული იქნება ბიომრავალფეროვნების ფასეულობები; ბიოლოგიური რესურსების კონსერვაცია და გონივრული მოხმარება უზრუნველყოფს ეკოსისტემური პროცესების უწყვეტობას, ჯანსაღ გარემოსა და სასიცოცხლო მნიშვნელობის სარგებელს მთელი საზოგადოებისთვის.

2020 წლისთვის საზოგადოების, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის, მნიშვნელოვნად მეტი ნაწილი მიიღებს ეფექტიან მონაწილეობას ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობისა და ბიოუსაფრთხოების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

2018 წლისთვის ფშავის მოსახლეობის 100 % ინფორმირებული იქნება ბიომრავალფეროვნების, მის მიმართ არსებული საფრთხეებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ და გაცნობიერებული ექნება ბიომრავალფეროვნების სოციალური და ეკონომიკური ფასეულობები და სარგებელი.

2020 წლისთვის გაუმჯობესდება აგრარული ეკოსისტემების და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მართვა და კონსერვაცია.

2020 წლისთვის, ტყეების ბიომრავალფეროვნება დაცული იქნება მდგრადი მეტყევეობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის გზით.

2030 წლისთვის შენარჩუნდება მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშებისა და კულტურულ მცენარეთა ენდემური სახეობების, ასევე მათი მონათესავე ველური სახეობების, სხვა სოციო-ეკონომიკური თუ კულტურული მნიშვნელობის სახეობების გენეტიკური მრავალფეროვნება; ჩამოყალიბდება და დაინერგება სტრატეგიები მათი გენეტიკური მრავალფეროვნების დასაცავად.

ტყის მდგრადი მართვა

ფშავის ტყიანობა შეადგენს 60-70 %. ტყეების დიდი ნაწილი განლაგებულია მკვეთრი დაქანების ფერდობებზე და ასრულებენ უაღრესად მნიშვნელოვან ნიადაგდაცვით, წყლის შემნახველ-მარეგულირებელ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, რეკრეაციულ, ქარდაცვით და სხვა ფუნქციებს. ტყე სუფთა ჰაერის რეზერვუარია და ქმნის საკურორტო და ეკოლოგიურად სუფთა მიკროკლიმატს, რაც გამორჩეულს და მიმზიდველს ხდის მხარეს.

ტყის კონსერვაცია, მისი მდგრადი მართვა მნიშვნელოვანია ფშავის ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მიღწევაში.

უნდა მოხდეს ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, ტყეებისა და სატყეო ტერიტორიების მოვლა და გამოყენება ისეთი მეთოდებითა და ინტენსივობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და

სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. ახლა და მომავალში შესაბამისი გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესრულებას ისე, რომ არ მოხდეს სხვა ეკოსისტემების დაზიანება.
ტყის მდგრადი მართვა უზრუნველყოფს: ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებასა და ზრდას, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვის საკითხებში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას.
უნდა აღდგეს დეგრადირებული ტყეები. ხელი უნდა შეეწყოს ტყეების ბუნებრივი თვითაღდგენის პროცესს.
ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის მოხდება ამ რესურსების როლისა და შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ღირებულების შეფასება.
ტყეების მდგრადი მართვა და სოციალური პრობლემების გადაჭრა დასახლებათა განვითარების ერთიან კონტექსტში იქნება განხილული. საჭიროა ინოვაციური, არაორდინალური გადაწყვეტილებები.

ფშავში ტყეებზე საკუთრების ფორმებისა და ტყეების მართვაზე პასუხისმგებლობის გადანაწილების ან შეცვლის შედეგად გაძლიერდება ტყეების დაცვა, ხოლო მართვა გახდება უფრო მდგრადი იმ შემთხვევაში, თუ ტყის მართვაში მონაწილეობას მიიღებენ თემები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სათანადოდ მოტივირებული კერძო სტრუქტურები.
უნდა მოხდეს თემების ჩართვა ადგილობრივი ტყეების მართვაში საზოგადოების სხვადასხვა ფენის (ახალგაზრდობა, ქალები) და მათი მოთხოვნების გათვალისწინებით. მათ უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა იმ რესურსებზე, რომლებზედაც დამოკიდებულია მათი დღევანდელი და მომავალი არსებობა.
მოხდება ისეთი პილოტური პროექტების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობს ადგილობრივი თემების მიერ ტყეების კომერციულ გამოყენებას ახალი სამუშაო ადგილების, შემოსავლის წყაროების შექმნისა და სიღარიბის შემცირების მიზნით.
მოეწყობა ტყის კულტურების სანერგე მეურნეობა, წახალისდება კერძო ტყეების შექმნა.
ვაღიარებთ რა, რომ ტყის რეკრეაციული მიზნებით გამოყენება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ტყითსარგებლობა (მერქნის წარმოება), ფშავს მიეცემა საკურორტო-რეკრეაციული დატვირთვა და აქედან გამომდინარე, მოხდება ტყის მოვლის შესაბამისი დაგეგმვა, მოეწყობა ბაღ-პარკები და სხვა.

შეიქმნება ეკო, გამაჯანსაღებელი და ტურიზმის სხვა მიმართულებების ინფრასტრუქტურა.
2020 წლისათვის ფშავის ტყის ფონდის 100%-ისთვის შექმნილი და ამოქმედებული იქნება მართვის გეგმები;

2030 წლისათვის ფშავის დეგრადირებული, უსისტემოდ გაჩეხილი ტყეების 100% იქნება აღდგენილი.

ცხოველთა სამყაროს დაცვა

გატარდება ცხოველთა სამყაროს მდგრადი გამოყენების ღონისძიებები, ანუ ცხოველთა სამყაროს ისეთი გამოყენება, რომლის დროსაც განუსაზღვრელი დროის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება ცხოველთა სამყაროს სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება, მდგრადობა და აღწარმოების უნარი.
მოეწყობა გენოფონდის რეზერვატები, სადაც ხელოვნურ პირობებში მოხდება გარეულ ცხოველთა სახეობების შენარჩუნება და გამრავლება ბუნებაში მათი აღდგენის მიზნით.
მოეწყობა გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემო, გამრავლების, დასასვენებელი, წყლის სასმელი და გამოსაზამთრებელ ადგილები, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზები და სხვა;
შესაძლებელი გახდება ცხოველთა სამყაროს ობიექტებით საერთო სარგებლობა რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო,

აღმზრდელობითი, ესთეტიკური და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით დადგენილი ნორმების მიხედვით.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა მოხდება მხოლოდ მეცნიერულ საფუძველზე გაკეთებული გაანგარიშებებისა და დაგეგმვის საფუძველზე. სრულად მოწესრიგდება მოსახლეობის მიერ ადგილობრივი რესურსებით პირადი მოხმარებისათვის სარგებლობის საკითხი გარემოზე ზიანის მიყენების გარეშე. სოციალური მიზნებისათვის ფშავის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირებას მოახდენს სათემო საბჭო (ლაგი) პარტნიორი ორგანიზაციებთან და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით.

წყლის დაცვა

უზრუნველყოფილ იქნება წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, მისი გაბინძურების, დანაგვიანების და დაშრეტის მიზეზების აღმოფხვრა, წყლის ცხოველთა სამყაროს მდგრადობა და მდგრადი გამოყენება;
წყლის მავნე ზემოქმედების აცილება და შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია;
წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებების ზედამხედველობა;
ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის აღრიცხვა და მისი გამოყენების რეგისტრირება;
წყლის რესურსების კომერციალიზაცია.

ჰაერის დაცვა

ფშავში უზრუნველყოფილი იქნება გარემოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის - ატმოსფერული ჰაერის დაცვა საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;
უზრუნველყოფილი იქნება ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება;
ფშავი მყარად დაიკავებს ადგილს ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების არმქონე მხარეების სიაში.
განსაკუთრებულ კონტროლზე ავა და აიკრძალება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი იმ სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებების ტერიტორიაზე ტრანზიტი და ექსპლუატაცია, რომელთა გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემცველობა აღემატება ტრანსპორტის კონკრეტული სახეობისათვის დადგენილ გაფრქვევის (გამონაბოლქვის) ზღვრულად დასაშვებ ნორმას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

რეგულარულ კონტროლზე ავა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის საკითხი.

ნიადაგის დაცვა

ფშავში 2020 წლამდე განხორციელდება ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებისათვის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც გამორიცხავს თვით ნიადაგის, ბიომრავალფეროვნების, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის საფრთხის შექმნას;
მოხდება ნიადაგების გამოკვლევა და მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა, ნიადაგების გაუმჯობესებისათვის პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავება-განხორციელება;

2030 წლისთვის აღიკვეთება ეროზიის, ღვარცოფის, მეწყრის, ზვავის, წყალდიდობის, ნიადაგის დაბინძურების, განმეორებითი დაჭაობებისა და დამლაშების, აგრეთვე ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგად ნიადაგების დანაკარგები.

მოხდება ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის ეფექტიანი მეთოდების შერჩევა და გამოყენება; ეროზიის გავრცელების ადგილებში გატყევების, მინდორსაცავი ზოლების აღდგენა-გაშენებისა და სხვა აგროტექნიკური და საინჟინრო მეთოდების გამოყენება;
ნიადაგების დაცვა სტიქიური მოვლენების (წყალდიდობა, ღვარცოფი, ზვავი, მეწყერი და სხვა) და ექსტრემალური ეროზიული პროცესებისაგან, სათიბ-საძოვრების ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლება, მცენარეული საფარის გაუმჯობესება.

ფშავის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი სათიბ-საძოვრებს უკავია და მის მდგომარეობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფშავის სოფლის მეურნეობა. შემუშავდება ფშავის ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მდგრადი გამოყენების სტრატეგია და მოხდება სამოქმედო დოკუმენტებში შესაბამისი ქმედებების ჩართვა, საძოვრების მართვის ეფექტური სისტემა;
2025 წლისათვის დასრულდება აგროეკოსისტემებისა და ბუნებრივი საკვები სავარგულების აღდგენისა და მდგრადი გამოყენების დანერგვის პროცესი.
მოხდება ინოვაციური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნების, მისი ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობის გაუმჯობესების მიზნით. შემუშავდება სხვადასხვა ტიპის ნიადაგებისათვის ნიადაგსარგებლობის ყველაზე ეფექტური მოდელები.
კონტროლზე ავა მიწის მესაკუთრეთა მხრიდან ნიადაგდაცვითი და ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების მიზნით ეროვნული და ევროკავშირის ნორმების დაცვა.

ენდემური და აბორიგენული ჯიშების კონსერვაცია

ფშავში გატარდება „ფერმაზე კონსერვაციის“ ღონისძიებები. აღმოიფხვრება ადგილობრივი ჯიშების სათესლე და სანერგე მასალის შეზღუდული ხელმისაწვდომობა, გავრცელდება ადგილობრივი ჯიშის მოყვანასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული ცოდნა, აღმოიფხვრება ადგილობრივი ჯიშებისა და მათი პროდუქტების დაბალი ცნობადობა ბაზარზე.
გადაიჭრება მცენარეთა ადგილობრივი ჯიშების სათესლე და სარგავი მასალის გავრცელებისა და ცხოველთა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ჯიშების მოშენების საკითხი.
ადგილობრივი ჯიშები დაცული იქნება გენეტიკური ეროზიისაგან. განხორციელდება პროექტები ჯიშების სიწმინდის შენარჩუნების მიზნით.
2018 წლისთვის ფშავში გამოირიცხება ფუტკრის ინვაზიური ჯიშების შემოყვანა ფუტკრის ადგილობრივ სახეობისათვის (*Apis melliferea caucasica*) საფრთხის აცილების მიზნით. ფშავი გამოცხადდება ქართული ფუტკრის დაცვის ზონად.

გატარდება ღონისძიებები კულტურულ მცენარეთა ველური მონათესავე სახეობების, სამკურნალო და სასურსათო მნიშვნელობის ველურად მზარდი მცენარეების გენეტიკური ბანკის შესაქმნელად. შეიქმნება ცოცხალი კოლექციები, აღმოიფხვრება ბუნებიდან ამ რესურსების უკონტროლო მოპოვება კომერციული მიზნებით.

ქიმიური დამაბინძურებლების და ნარჩენების მართვა

ფშავი ცხადდება ქიმიური დამაბინძურებლებისგან 100% თავისუფალ მხარედ. 2017 წლიდან შემუშავდება და განხორციელდება პროექტები ქიმიური პესტიციდების, ჰერბიციდების, მინერალური სასუქების, საყოფაცხოვრებო ქიმიის სრული ჩანაცვლებისათვის ბიოსაშუალებებით.

გატარდება ღონისძიებები სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების შემცირების, გაუვნებელყოფის, უტილიზაციის, განთავსების და დამარხვის მიზნით გარემოს დაცვის, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმებისა და წესების დაცვით.

2020 წლამდე გადაიჭრება გარემოს დამაბინძურებლების, კერძოდ ნარჩენების მართვის საკითხი. სრულად აღმოიფხვრება კომუნალური ჩამდინარე წყლების გაწმენდის საკითხი.

მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, გატანისა და განთავსების ეფექტური

სისტემის დანერგვა.

2025 წლამდე დაინერგება ნარჩენების მეორადი გამოყენების (რეციკლირების) და გადამუშავების სისტემა, ფშავში აღარ იქნება არანაირი ნაგავსაყრელები.

2018 წლისთვის ადგილობრივ მოხმარებაში პოლიეთილენის პაკეტები სრულად ჩანაცვლდება ორგანული შესაფუთი პაკეტებით და მრავალჯერადი გამოყენების ნატურალური ქსოვილის ჩანთებით და ბადეებით.

მწვანე ეკონომიკა

მწვანე ეკონომიკა განაპირობებს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას და უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას, ამასთანავე მნიშვნელოვნად მცირდება გარემოს რისკები და მისი გაღარიბება. სტაბილურად გატარდება გაეროს ინიციატივა მწვანე ეკონომიკის განვითარების შესახებ.
ეკონომიკის „გამწვანება“ მოიცავს ნებისმიერ დარგს და საქმიანობის სფეროს. მოხდება ინვესტიციების სტიმულირება ეკოლოგიურად ორიენტირებული, გარემოსთვის უსაფრთხო საქონლისა და მომსახურების სფეროში, განსაკუთრებით წახალისდება ინვესტიციები, რომლებიც დაკავშირებულია იმ საქონელსა და მომსახურებასთან, რომელიც უკავშირდება კლიმატის ცვლილების შერბილებას, შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვას და იმ სტანდარტების გავრცელებას, რომლებიც პასუხობენ გარემოსდაცვით და ეკონომიკურ საჭიროებებს, „მწვანე“ სამუშაო ადგილების შექმნას;
მოხდება ბიზნესის ეკოლოგიზაცია და სოციალიზაცია, ანუ ადგილობრივი ბიზნესი სოლიდარული გახდება როგორც გარემოს დაცვის მიმართებით, ისე ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრაში.

სოფლის მეურნეობა

ფშავის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, მცირე ოდენობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები განაპირობებს სოფლის მეურნეობის მიმართულებების შეზღუდულ განვითარებას

- ფშავის მწვანე განვითარების პოლიტიკა განაპირობებს სოფლის მეურნეობის სრულ ეკოლოგიზაციას, ორგანული/ბიო/ეკო სოფლის მეურნეობის განვითარებას;
- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების განვითარებისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით ხელი შეეწყობა საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების სამსახურების შექმნა-განვითარებას, საცდელ-სადემონსტრაციო ფერმების ორგანიზებას, ჯიშთა გამოცდისა და განახლების მეურნეობების შექმნას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას;
- 2018 წლისთვის ფშავში ყველა მეურნე გადამზადდება ორგანული სოფლის მეურნეობის ასპექტში, მათთვის ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია თანამედროვე ტექნოლოგიების, ჯიშების, ბაზრების შესახებ;
- მოხდება სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზაცია და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ახალი მეურნეობრიობის ფორმების და აგროინოვაციების დანერგვა, მათ

შორის შეკრული ციკლის ბიოაგრარული კომპლექსების და კოოპერატივების, დამზადება-გადამუშავების პუნქტებისა და საწარმოების შექმნა;

- ფრაგმენტირებული მიწის ნაკვეთების კონსოლიდაციის, მკვიდრი მოსახლეობის მშობლიურ მიწაზე დამაგრების, მიწის მესაკუთრეთა ორგანულ წარმოებაზე გადასვლის წახალისების მიზნით შეიქმნება სპეციალური ფონდი;
- ველური სამკურნალო და არომატული მცენარეების, ტყის არამერქნული პროდუქტების (ხილი, კენკრა, სამკურნალო მცენარეები) დამზადება, კულტურაში დანერგვა, გადამუშავება გახდება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სამეურნეო საქმიანობაში;
- მოეწყობა შიდა სამეურნეო გზები, სარწყავი სისტემები და აგროწარმოების სხვა ინფრასტრუქტურა;
- ენდემური და ტრადიციული ჯიშების, კულტურების შენარჩუნება-განვითარებას მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება, შეიქმნება სპეციალიზებული ფერმები;
- მინიმუმამდე იქნება დაყვანილი მეცხოველეობის მავნე გავლენა გარემოზე;
- განვითარდება საერთაშორისო ურთიერთობები იმ სასოფლო–სამეურნეო, შინაურ და სხვა ცხოველთა დაცვის, აღწარმოებისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სფეროში, რომლებსაც აქვთ სამეურნეო, სამეცნიერო, კულტურულ–საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი, ესთეტიკური და სხვა დანიშნულება;
- მცირე მიწის ნაკვეთებისათვის შემუშავდება მაღალტექნოლოგიური, კონკურენტუნარიანი, მაღალფასიანი პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული პროექტები;
- ადგილობრივი წყლის რესურსები მაქსიმალურად იქნება გამოყენებული თევზის წარმოებისათვის;
- გამოიცდება და დაინერგება სასოფლო-სამეურნეო კოოპერციის ეფექტური, რეალურ და გრძელვადიან შედეგზე გათვლილი ფორმები;
- მოხდება ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტების კომერციალიზაცია, ბრენდირება. ამოქმედდება საფირმო სავაჭრო ობიექტების ქსელი;
- 2020 წლამდე ფშავში ამოქმედდება მინიმუმ ერთი ბიოაგრარული კომპლექსი დამზადება-გადამუშავების თანამედროვე სტანდარტების ხაზებით;
- 2020 წლისათვის ფულად განზომილებაში გამოხატული ფშავში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის 80% დააკმაყოფილებს ორგანული სტანდარტის მოთხოვნებს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 99% დამუშავდება ორგანული აგრონორმებით;
- გატარდება ორგანულ ფერმერთა ხელშემწყობი ღონისძიებები მათი მეურნეობების სერთიფიცირებისათვის;
- სოფლის მეურნეობა ფშავში გახდება გარემოს დამზოგავი, კლიმატგონივრული

წარმოება

წარმოების განვითარების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს სიღარიბის დაძლევა, ცხოვრების დონის ამაღლება ფშავში უახლესი ეკოტექნოლოგიების დანერგვისა და „მწვანე“ , მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილების შექმნის გზით.

ძირითადი გრძელვადიანი ამოცანებია:

ყველაზე მაღალი სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური საწარმოების შექმნა (100%), უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა;

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება ევროკავშირის „მცირე ბიზნესის აქტით“ გათვალისწინებულ პრინციპებზე დაყრდნობით;

ისეთი გარემოს ჩამოყალიბება, სადაც მეწარმეები და საოჯახო ბიზნესი განვითარდება, ხოლო მეწარმეობა წახალისდება „ჯერ მცირეზე იფიქრე“ (Think Small First) პრინციპის საფუძველზე; ხელი შეეწყობა კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას. ევროკავშირისა და ფშავის ბიზნესებს შორის კონტაქტების გაზრდას, საექსპორტო საქმიანობას;

შინამრეწველობა

ხელი შეეწყობა ტრადიციული და ახალი ხელოსნობის დარგების განვითარებას, ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციის შექმნას, ახალი, შრომისდამზოგავი ტექნოლოგიების და მოწყობილობების დანერგვას, შინამრეწველთა სამუშაო ობიექტების ტურისტულ ობიექტებად გადაქცევას.
ჩამოყალიბდება ფშავის ხალხური რეწვის სპეციალისტთა ქსელი გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი მარკეტინგული ღონისძიებების გატარების, შრომის დანაწილებისა და კოოპერირების მიზნით.

ტურიზმი

ფშავის ბუნება და ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლე, შემონახული ეთნო-კულტურული და სამეურნეო საქმიანობის ტრადიციები, საკურორტო-რეკრეაციული პოტენციალი ათვისებული იქნება მაქსიმალურად და რაციონალურად, ფშავი გახდება საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ტურისტული მხარე. ამავე დროს მდგრადი ტურიზმის საუკეთესო მაგალითი;
ფშავის სოფლებში არასასოფლო-სამეურნეო სამუშაო ადგილების შექმნის, ალტერნატიული შემოსავლების მიღების, სოფლად მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დამაგრების, უკუმიგრაციის, ცხოვრებისა და კულტურის დონის ამაღლების მიზნით მოხდება სოფლის ტურიზმის განვითარება ყველა ასპექტში. ეფექტურად მოხდება იმ ცოდნის გამოყენება, რაც დაგროვილია მსოფლიოში სოფლის ტურიზმის განვითარების სფეროში და გატარდება სათანადო ორგანიზაციული, მასტიმულირებელი და ხელშემწყობი ღონისძიებები;
მოხდება ტურისტული ნაკადების, პროდუქტების და ბაზრის, ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსების და ინსტიტუციური სტრუქტურების ხელშეწყობა და განვითარება.
შემუშავდება ადგილობრივი და რეგიონული ტურპროგრამები, განვითარდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
განვითარდება სათემო ტურიზმი, 2020 წლისთვის შეიქმნება მინიმუმ ხუთი თემატური სოფელი (ქსოვა-ქარგვა-თექა, სამჭედლო-ჭედურობის, ხის ნაკეთობების, სამეთუნეო, ყველის, და სხვა. ხოლო ერთი ვაჟას მინდიას სოფელი, რომელიც დასპეციალებული იქნება სამკურნალო მცენარეების წარმოება-გამოყენებაზე პრინციპით: საკვები უნდა იყოს წამალი და წამალი-საკვები), მომზადდება მყარი საფუძველი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებისათვის;
ფშავში ტურიზმი არ იქნება სეზონური. სხვადასხვა მიმართულებით აქ მთელი წლის განმავლობაში იქნება ტურისტული დატვირთვა;
2020 წლისათვის მოეწყობა მინიმუმ ორი ზამთრის საკურორტო ადგილი;
2025 წლამდე მოხდება ფშავის ერთიანი საკურორტო-რეკრეაციული კლასტერის ფორმირება;
2025 წლისათვის ასამდე სერთიფიცირებული სოფლის ტურისტული ობიექტი შეიქმნება ფშავში. სოფლად შემოსავლების წილი ტურიზმიდან საგრძნობი იქნება.
შეიქმნება სოფლის ტურისტული ობიექტების ქსელი, ერთიანი ქართული ქსელის ნაწილი და მოხდება მისი ინტეგრირება ევროკავშირის სოფლის ტურისტულ ქსელებში;
ფშავში შეიქმნება არაფორმალური განათლების ცენტრები-ეკოსოფლები, სათემო სახლები, კონფერენც-ცენტრები, სადაც რეგულარულად მოეწყობა საგანმანათლებლო, სასწავლო-შემეცნებითი ღონისძიებები მდგრადი განვითარების, ეკოგანათლების, ბიოაგროგანათლების, სოფლის ტურიზმის, ტყის მდგრადი მართვის, ჯანსაღი ცხოვრების და სხვა ასპექტებში. ფშავი იქცევა საგანმანათლებლო ტურიზმის მნიშვნელოვან კერად. ჩარგალი იქცევა საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოლოგიური აზროვნების და ცოდნის გავრცელების ცენტრად.
განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეთნოტურიზმის განვითარებას. სწორედ ჩვენი წეს-ჩვეულებები, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა იქცევა მიმზიდველ ტურ-პროდუქტებად. გურმანებისათვის მოეწყობა სპეციალური სამზარეულოები, სადაც ისინი თავად მიიღებენ მონაწილეობას ფშაური კერძებისა თუ ნუგბარის მომზადებაში.

მაქსიმალურად იქნება გამოყენებული ფშავის დედაქალაქთან სიახლოვე. განვითარდება საოჯახო, სამეგობრო და კორპორატიული დასვენების დღეების ტურიზმი. ამისათვის

მოეწყობა სათანადო ინფრასტრუქტურა. 2020 წლამდე მოეწყობა მინიმუმ სამი საკემპინგე ადგილი.
ფშავის საკურორტო-რეკრეაციული შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნება გამოყენებული გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებისათვის.
ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ალტერნატიული გამაჯანსაღებელი მეთოდებისა და საშუალებების დანერგვა, სწავლება გახდება მნიშვნელოვანი სეგმენტი.
მოეწყობა სასწავლო კურსები, საერთაშორისო ღონისძიებები ალტერნატიული გამაჯანსაღებელი სხვადასხვა სკოლებისა და მიმართულებების წარმოდგენელთა მონაწილეობით.

სოციალური სფერო

ფშავში ჩატარდება სოციოლოგიური კვლევები, გაკეთდება ანალიზი და შემუშავდება რეკომენდაციები;
მოხდება სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენელთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაცია;
უზრუნველყოფილი იქნება ქალთა უფლებების დაცვა, ხელი შეეწყობა მათ ლიდერებად ჩამოყალიბებას;
მოხდება სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაში, სამეურნეო/ბიზნეს საქმიანობის წამოწყება-განვითარებაში;
სტიქიური მოვლენების და ომების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს, მათ წევრებს გაეწევათ დახმარება, ხელი შეეწყობათ დასაქმებაში;
მოხდება სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნიჭიერი ბავშვების დახმარება მათი შესაძლებლობების განვითარებაში, თვითრეალიზებისათვის კეთილსასურველი გარემოს შექმნაში;
გატარდება ღონისძიებები ფშავში ცხოვრების დონის ქალაქთან გათანაბრებისათვის;
მოხდება სოციალური უსაფრთხოების სისტემების გაუმჯობესება.

დასაქმება

ფშავში ხეობაში გატარდება გეგმაზომიერი ღონისძიებები დასაქმების პოლიტიკის, მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილის, სიღარიბის შემცირების, ღირსეული შრომის პირობების, სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სოციალური დიალოგის, სოციალური დაცვის, სოციალური ჩართულობის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, გაძლირებული სოციალური ინტეგრაციის, მდგრადი განვითარებისა და გაუმჯობესებული ცხოვრების დონის მიღწევის ხელშესაწყობად;

კაცობრიობა შედის განვითარების სოციალური ეკონომიკის ფაზაში. ეს გამოიხატება სხვადასხვა ფორმით, უმთავრესად კი იმ შესაძლებლობის შექმნაში, რომ სოციალურად დაუცველმა ჯგუფებმა თუ ცალკეულმა პირებმა თავისი შრომით შეძლონ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ფშავში მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულება იქნება სოციალური საწარმოების შექმნა, რომლებიც მიაღწევს ფართო მასშტაბიან, სისტემურ და მდგრად სოციალურ ცვლილებას ახალი გამოგონებების, განსხვავებული მიდგომების, არსებული ტექნოლოგიების და სტრატეგიების უფრო ზუსტი გამოყენებით, ან ახალი კომბინაციებით. მოხდება მოსახლეობის ისეთი ჯგუფების დასაქმება და შრომითი ინტეგრაცია, რომლებიც განსაკუთრებულად არაკონკურენტულ მდგომარეობაში არიან დასაქმების ბაზარზე.

მოეწყობა ბიზნეს-ინკუბატორები.

ჯანმრთელობის დაცვა, სპორტი, ფიზიკური აქტივობა

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფერო მოექცევა განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ,

მოხდება არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი, ძირითადად ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობისა და ჯანმრთელობის იმ მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა კვება, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და თამბაქოს მიმართ დამოკიდებულება;

ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, ალტერნატიული გამაჯანსაღებელი ობიექტების შექმნა;•

ფშავში მოეწყობა მაღალტექნოლოგიური და მაღალტექნიკური სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეაბილიტაციო და გადაუდებელი დახმარების ცენტრი. ადგილობრივი რესურსების ბაზაზე მოეწყობა ბანლეოლოგიური კურორტი.

ხელი შეეწყობა სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სპორტის სოციალური და საგანმანათლებლო ფასეულობების განვითარებას, სპორტის მობილურობას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეროვნული სპორტული სახეობების და თამაშობების განვითარებას.

უსაფრთხო საცხოვრებელი/სამუშაო გარემო და ენერგოეფექტურობა

დღეს ჩვენ მზად ვართ იმ გამოწვევებზე რეაგირებისათვის, რომელიც დგას ჩვენი საზოგადოებისა და გარემოს წინაშე. დასავლეთში უკვე საკმაოდ პოპულარული თემები და ტერმინები: ეკოსახლი, ენერგოეფექტურობა, ეკოავეჯი, გარემოსდამზოგავი ტექნოლოგიები და სხვა ჩვენში მხოლოდ ახლა იწყებს დამკვიდრებას.

ადამიანის ჯანსაღი ცხოვრების, ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის აუცილებლობიდან გამომდინარე, უსაფრთხო საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით ფშავში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ ჯანმრთელობისათვის უვნებელი მასალებითა და ტექნოლოგიებით.
ფშავი გამოცხადდება აზბესტის შემცველი მასალებისგან თავისუფალ ზონად. ყოფაცხოვრებასა და მეურნეობაში გამოყენებული „შიფერი“ ეტაპობრივად შეიცვლება და მოხდება მისი გატანა-უტილიზაცია.
2017 წლისათვის დაინერგება საერთაშორისო გამოყენებაში არსებული ეკომშენებლობის სტანდარტი.
გატარდება ნაგებობათა ენერგოეფექტურობის ღონისძიებები.
ფშავში მოხდება ენერგოეფექტურობისა და ენერგიის დაზოგვის, განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისების ხელშეწყობა ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გზით, 2020 წლისთვის ფშავში მოხმარებაში არსებული შეშის ყველა ღუმელი იქნება ენერგოეფექტური, ხოლო მოხმარებული ელ.ენერგიის 30 % იქნება ადგილზე წარმოებული განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული.

ინფრასტრუქტურა

საგზაო სისტემის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს სატრანსპორტო წვდომა ფშავის დასახლებებთან.
2025 წლისათვის ფშავის დასახლებები სრულად უზრუნველყოფილი იქნება თანამედროვე, მოწინავე ტექნოლოგიებით დაწმენდილი სასმელი წყლით.
ქსელური ან ავტონომიური ელ.ენერგია უნდა გააჩნდეს თითოეულ ოჯახს.
2020 წლისთვის მობილური კავშირით და მაღალი სიჩქარის ინტერნეტით დაიფარება მთელი ფშავი.

კულტურა

მოხდება კულტურის სფეროს ინსტიტუციური გაძლიერება, რათა ხელი შეეწყოს კულტურულ მრავალფეროვნებას, შენარჩუნდება და სათანადოდ განვითარდება კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულებანი.
უზრუნველყოფილი იქნება დადებითი ეთნოკულტურული ტრადიციების დაცვა და განვითარება.
კულტურის ობიექტების დაცვა და რაციონალური გამოყენება გახდება ტერიტორიული დაგეგმარების განუყოფელი ნაწილი.

შეიქმნება ახალი კონცეფციის მუზეუმები, მათ შორის სოფელი-მუზეუმები, სადაც მატერიალურთან ერთად არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა იქნება დაცული და განვითარებული. 2020 წლისათვის ამოქმედდება ბუნების მუზეუმი.
გაცოცხლდება და დაიხვეწება ტრადიციული რელიგიური დღესასწაულები. სახალხო დღესასწაულები, მათ შორის ვაჟაობა შეიძენს რეალური სახალხო დღესასწაულის სახეს და შინაარსს.
ჯანსაღი კვების პრინციპების გათვალისწინებით მოხდება ფშაური სამზარეულოს გამრავალფეროვნება, ცალკეული კერძების და პროდუქტების ბრენდირება.
მოეწყობა კულტურის ობიექტები, ბიბლიოთეკები;

თეატრონებზე და მოედნებზე რეგულარულად გაიმართება ფოლკლორული ღონისძიებები, ეროვნული ასპარეზობები (ქართული ჭიდაობა, დოღი, ცხენბურთი, ყაბახი, ლახტი, ჩილიკა და სხვა). ჩატარდება მულტიკულტურული ღონისძიებები, საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალები, ვაჟას შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები და სხვა.

გამოცხადდება კონკურსები ვაჟას ნაწარმოებების თარგმნაზე სხვადასხვა ენებზე. ფერწერული ნამუშევრების, სკულპტურების შექმნაზე.

მდგრადი მმართველობა

2018 წლიდან ფშავის ეკოთემში მოხდება ტრადიციული თემური და თანამედროვე მდგრადი მმართველობის სინთეზი. შეიქმნება სტრუქტურა, რომელიც სრული დემოკრატიის საფუძველზე უზრუნველყოფს ფშავის განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში.

სამოქალაქო სექტორი

მოხდება ადგილობრივი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების გაძლიერება და მათი ჩართვის ხელშეწყობა განვითარების პროექტებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და მონიტორინგში;

მოხდება საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება, კონტაქტების გაფართოება და ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა, ერთობლივი პროექტების შემუშავება და რეალიზება.